ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 7ა

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 25 იანვარს 2013 წ.

ერთის მხრივ **სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის №1 საჯარო სკოლა**

(შემდგომში „შემსყიდველი")

ს/კ. 221299850. სს საქართველოს ბანკი წყალტუბოს ფილიალი

ბანკის კოდი BAGAGE22 ანგ. № GE71BG0000000119478700

და მეორეს მხრივ **შპს „ა.ფ. აუდიტცენტრი"**

(შემდგომში „მიმწოდებელი")

შორის მიღწეულია ურთიერთშეთანხმება და ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგ თანხაზე: 50 ლარი

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდება: აუდიტორული მომსახურეობა 50(ორმოცდაათი) ლარის ფარგლებში ურთიერთმოლაპარეკების გზით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებით.

1.2 ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი საქონელი/მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტულ მაჩვენებლებს.

2. ანგარიშსწორება

2.1 „შემსყიდველი" ანგარიშსწორებას „მიმწოდებელთან" განახორციელებს ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.2 „მიმწოდებელმა" ანგარიშსწორებისათვის უნდა წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები, საქონლის შესყიდვის „მომსახურების" ფასები.

3. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

3.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია დაიცვას ,შემსყიდველის" მიერ მოთხოვნილი ვადები და ადგილი, უზრუნველყოს საქონლის/ მომსახურების სათანადო ხარისხი.

3.2 „შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებელს" წარუდგინოს ინფორმაცია შეკვეთილი საქონლის/მომსახურების სახეობისა და რაოდენობის შესახებ და გადაურიცხოს შეკვეთის ღირებულება ,მიმწოდებელს" მის მიერ მითიოთებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

3.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" დროულად აცნობოს წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში საქონლის/მომსახურების ცვლილების შესახებ.

3.4 „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში საქონლის/ მომსახურების ფასების არასასურველი ცვლილების შემთხვევაში.

4. შესყიდვის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდული საქონელი/ მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შესყიდული საქონლის/ მომსახურების მიღებისას საბოლოო შემოწმება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

4.3 შესყიდული საქონლის/მომსახურების მიღების შემოწმებისას გამოვლენილი დეფექტის ხარჯებს აანაზღაურებს „მიმწოდებელი".

5 ხელშეკრულების ვადა

5.1 ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 30 იანვრამდე.

5.2 ხელშეკრულების გადასინჯვა ორთავე მხარის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

5.3 ხელშეკრულების გადასინჯვა შესაძლებელია „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში საქონლის/მომსახურების ფასების ცვლილებისას.

5.4 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

6 დასკვნითი ნაწილი

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საქმე გადაეცემა სასამართლოს.

6.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

6.3 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაზე ინსპექტირებას ახორციელებს „შემსყიდველი".

მონაცემები საქონლისა და ფასების შესახებ	
საქონელი	ფასები
1. აუდიტორული მომსახურეობა	1. 50 ლ. სულ: 50 ლარი

„შემსყიდველი" ----------------
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ მაღლაკის №1 საჯარო სკოლა
ტელ: 577 96 44 45, 599 62 46 70
ს/კ 221299850
საქართველოს ბანკის წყალტუბოს ფილიალი
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის №GE71BG0000000119478700

„მიმწოდებელი" ----------------
შპს „ა.ფ. აიდიტცენტრი"
საქართველოს ბანკის წყალტუბოს ფილიალი
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის №GE05BG0000000179687400